# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 2 ივლისი 2005 №148 (2471) ფასი 50 თეთრი




**ტყუპების თავგადასავალი**

შოთა ფიგუსთან, არჩილი სასამართლოში

3



**ფიფამ თქვა, თქვა, თქვა, ეს რა დამემართა**

რომას გაჩარი მორჩა

6



**ამხედრდით!**

ტური გამოგორდა

14

# კალაძე მილანში ბერლუსკონიმ დატოვა

**კახა** კალაძემ სილვიო ბერლუსკონის, ადრიანო გალიანისა და კარლო ანჩელოტის გარემოცვაში „მილანთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა. ნუ გაიკვირვებთ, ქართველმა მცველმა სწორედ იტალიის პრემიერ-მინისტრის, სილვიო ბერლუსკონის თვალწინ მოაწერა ახალ კონტრაქტს ხელი და ამით მის შესაძლო ტრანსფერზე გაუთავებელ ლაპარაკს წერტილი დაუსვა — კალაძე ისევ „მილანის" ფეხბურთელია, თანაც ახლა უფრო დაფასებული.

გუშინ კი ქართველი ფეხბურთელი დასასვენებლად მილანიდან მონტე კარლოში გაემგზავრა და ჩვენც იქ დავუკავშირდით...

— „მილანთან" კონტრაქტის გაგრძელება მწვრთნელთან და სილვიო ბერლუსკონისთან მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტე. როგორც იქნა, ამოვისუნთქე, სატრანსფერო საქმეებზე აღარ ვფიქრობ. ბედნიერი ვარ, რომ კარიერას ისევ ჩემს საყვარელ გუნდში ვაგრძელებ — გვითხრა კახა კალაძემ.

— ვიდრე კონტრაქტს გააგრძელებდი, „ჩელსიდან" აღარ დაგკავშირებიან?

— არა, ინგლისელები ხომ „მილანმა" უარით გაისტუმრა.

— და რატომ ჩაიშალა „ჩელსიში" შენი ტრანსფერი?

— მიზეზი მარტივია — „მილანმა" არ გამყიდა. გუნდში ყველაზე ახალგაზრდა მცველი ვარ და მწვრთნელს ჩემი იმედი აქვს.

— კარლო ანჩელოტისთან გისაუბრია. რა თქვით, ახალი სეზონიდან ძირითადში უფრო ხშირად ითამაშებ?

— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელმა მაგრძნობინა, რომ გუნდს ვჭირდები. ჩათვალეთ, „მილანთან" ყველა პრობლემა მოგვარებულია.

— ბერლუსკონისთან შეხვედრაზე რას იტყვი?

— კონტრაქტზე ხელმოწერას სილვიო ბერლუსკონიც ესწრებოდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ახლა ისევ „მილანის" ფეხბურთელი ვარ, მას არ სურდა ჩემი გასხვისება.



— ახალი სეზონისთვის მზადებას როდის იწყებთ?

— 14 ივლისს, მანამდე კი ვისვენებ.

**კობა ინასარიძე**

# შავ-თეთრი ფინალი



AFP



დღეს უიმბლდონში ქალთა ამერიკული შავ-თეთრი ფინალია. ერთმანეთს ხვდებიან ლინდსი დევენპორტი და ვინუს უილიამსი. საამისოდ დევენპორტმა გუშინ ნახევარფინალში ფრანგ ამელი მორესმოს სძლია (6:7 7:6 6:4), გუშინწინ კი, როგორც გაუწყეთ, ვინუს უილიამსმა რუს მარია შარაპოვას მოუგო.

გუშინვე გაირკვა ვაჟთა ერთი ფინალისტის ვინაობა. ეს გახლავთ ნახევარფინალში ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის მძლეველი შვეიცარიელი როჯერ ფედერერი, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 6:3 6:4 7:6.

ფედერერის მეტოქე დღეს გაირკვევა, როცა დასრულდება წვიმის გამო გუშინ შეწყვეტილი მატჩი ამერიკელ ენდი როდიკსა და შვედ თომას იუჰანსონს შორის.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველის პროსპექტი არც ტატამია, არც პარლამენტი!

სპორტულ-პოლიტიკური თავ-ვპირის მტვრევაღა გვაკლდა. სამოქალაქო გვქონდა, ვითიკური გვქონდა, ანტიკორუპციული თუ რაღაც ამდგვარი გვქონდა და ამ სპორტულის ჯერიც დამდგარა. ეტყობა, თავად თავპირის მტვრევა [illegible], რომ ოღონდ კი ეს იყოს და სარჩულის საპოვნელად შორს არ წავალთ. სავარაუდოდ, სპორტულის შემდეგ მოვანყობთ ლიტერატურულს, სამეცნიეროს, საბალეტოს, საბავშვოს, იუმორისტულ და ასე გავლევთ განგებისგან [illegible] გამოყოფილ დროს.

სისულელეა იმის მტკიცება, თითქოს სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთთან არაფერ შუაში იყოს, მაგრამ პოლიტიკით სპორტის მეტისმეტი ნაზიღნვაც არაბუნებრივია. ვთქვათ, საქართველო რაგბისა თუ ფეხბურთის რუსეთის რომ მოუგებს, ცხადია, მარტო სპორტი არ არის, მაგრამ ამის გამო ვალუტის კურსი რომ დაეცეს, აგურის ნარმოება შეჩერდეს ან ომი დაიწყოს, სიბრიყვეა. და ასეთივე სიბრიყვეა სპორტული რევოლუცია, კონტრრევოლუცია თუ რაღაც ჯანდაბა. მოკლედ, ჩვენო კარგო ყველა მიმართულების პოლიტიკოსებო, გთხოვთ, საგადასახადო კანონზე, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, იმავ სპორტისა და კულტურის განვითარებაზე, საგარეო პოლიტიკაზე, ეთნოკონფლიქტების მოგვარებაზე და ასეთ რამეებზე ედავოთ ერთმანეთს. ამ საკითხების გამო, ჯანდაბას, ქართველები ვართ და ხუთ-ათ წელინადში ერთხელ თქვენთან ერთად, თქვენივე ხან ერთი, ხანაც მეორე ნანილის წინააღმდეგ გადატრიალებებსაც მოგანყობინებთ, მაგრამ ყველაფერს თავისი სტილი აქვს, სტილს კი დაცვა სჭირდება.

ხუთშაბათს, რუსთაველის პროსპექტზე სტილი ყველა მხარემ დაარღვია და ნამდვილად ვიცით, რომ ეს მოსახლეობის ნამდვილ უმრავლესობას ძალიან არ მოეწონა.

**პაპუნა კედია**

**ახლა**, როცა ალექსი დავითაშვილისა და გიორგი რევაზიშვილის დაკავების გამო ატეხილი სკანდალი მინელების გზას ადგას, დასკვნების გამოტანაც შედარებით ადვილად შეიძლება, თუმც ჩვენი აზრის ვინმესთვის თავზე მოხვევას არანაირად არ ვაპირებთ. გვინდა, სულ სხვა, ნეიტრალური თვალით დანახულ ნაკლოვანებებზე ვთქვათ.

სასამართლო დარბაზის დარბევა და რუსთაველის გამზირის გადაკეტვა სპორტული და პოლიტიკური თვალსაზრისით თანაბრად ულამაზო ფაქტი იყო, მაგრამ სიბინძურე ყველაზე მეტად მაშინ გამოაშკარავდა, რუსთაველზე პოლიტიკოსები რომ გამოჩნდნენ და ხალხმრავლობის თავისი ინტერესებისთვის გამოყენება სცადეს. აქციამ აზრი სწორედ იმ მომენტიდან დაკარგა და სპორტსმენები და მათ მხარდასაჭერად ქუჩაში გამოსული ხალხიც სწრაფადვე გაეცალა რუსთაველს.

ცუდი იყო ღამის სამ საათზე ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ცნობილი ქართველი სპორტსმენების ბოდიშიც. ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ, ვეჭვობთ, ეს სცენა ზემოდან ნაკარნახევს უფრო ჰგავდა. პოლიტიკა და სპორტი კი ერთმანეთს ძალიან არ უხდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# ტყუპების თავგადასავალი შოთა ფიგუსთან, არჩილი სასამართლოში



შოთა და არჩილ არველაძეებმა კარიბეთში, კუნძულ არუბაზე გრეხეტბოლში რომ იჩაუქეს, ადრეც გაუწყეთ, ახლა კი ტყუპები თავთავიანთ საქმეებს შეუდგებიან.

შოთა პორტუგალიის და მადრიდის „რეალის“ ისეთმა სახელიანმა კაცმა მიიწვია ლისაბონში, ლუიშ ფიგუ რომაა. ფიგუ საქველმოქმედო მატჩს აწყობს და ჩვენებური დღეს მისი გუნდის შემადგენლობაში ითამაშებს.

რაც შეეხება არჩილს, მას 5 ივლისს დიუსელდორფში სასამართლო ელის. თითქმის უკვე ორი წელია, ტრავმებით გათანგულმა ტყუპისცალმა ფეხბურთელის კარიერა რომ დაასრულა — ის ბოლოს „კიოლნში“ თამაშობდა და სანამ იქიდან წამოვიდოდა, ერთ-ერთ გერმანულ სადაზღვევო კომპანიაში დააზღვია საკუთარი ჯანმრთელობა. მოკლედ, არჩილს სადაზღვევო კომპენსაცია ეკუთვნის და ეს სასამართლომ უნდა დაუმტკიცოს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# დინამოს ნახვას ფასი დაადეს
## ლევადია ემზებს, ბატე ბეგანსკობს

თბილისის „დინამოს“ საჩემპიონთალიგო მეტოქე „ლევადია“ 6 ივლისამდე ესტონურ ქალაქ პიარნუში დასცემს ბანაკს. მწვრთნელმა ტარმო რუუტლიმ შეკრებაზე 18 ფეხბურთელი წაიყვანა, სამი მოთამაშე კი გუნდს ორ დღეში შეუერთდება.

ცნობილი გახდა, რომ „ლევადიაში“ გაისინჯებიან სხვა ესტონური კლუბების მოთამაშეები: სიქსტენ კაზამირი (მერკური), ტარვუ ლაურსონი (ტარტუ) და მაქსიმ პედიკი (პიარნუ).

ტალინელებმა ამასწინათ რუსულ „მოსკვასთან“ ტესტ-მატჩში (0:1) ლატვიური „რიგის“ ნახევარმცველი ვლად კაჩანოვი გამოსცადეს, მაგრამ უკანვე გაუშვეს.

როგორც იცით, „ლევადია“ 13 ივლისს უმასპინძლებს „დინამოს“. მატჩი ჩვენი დროით რვის ნახევარზე დაიწყება, ბილეთის ფასი კი სხვადასხვა იქნება: 100 და 150 ესტონური კრონა (შესაბამისად, 8 და 12 დოლარი), თუმცა პენსიონერები 50 კრონას გადაიხდიან, ხოლო მოზარდებს უფასოდ შეუშვებენ სტადიონზე.



ბატელთა ლიდერი პაველ ბეგანსკი

აქვე ბელარუსულ ბატე-ზეც ვთქვათ. ქუთაისის „ტორპედოს“ საუეფასთასო მეტოქემ ქვეყნის ჩემპიონატში გროდნოს „ნემანთან“ სტუმრად 1:1 ითამაშა, რითაც მეხუთედან მეოთხე ადგილზე ახტა. ბატე აგებდა და 43-ე წუთზე გამთანაბრებელი გოლი იმ პაველ ბეგანსკიმ შეაგდო, რომელიც ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ყოჩობს. სხვათა შორის, ბეგანსკი რატომღაც ძირითადში არ იყო, გოლამდე სამი წუთით ადრე შევიდა მინდორზე. ქუთაისელთა მეტოქემ ასეთ შემადგენლობით ითამაშა: *პანკრატოვი — ხალეცკი, ბაგა (ყავნერჩიკი 42), რადკოვი, მოლოში — ბარანოვი (კლიმოვიჩი 68), ლიხტაროვიჩი, ერმაკოვიჩი — კობეცი, რუბნენკო, ლებედევი (ბეგანსკი 40).*

**ილია ნანობაშვილი**

# ამისულაშვილს ვორსკლა ექაჩის



**საქართველოს** ნაკრების მცველ ალეკო ამისულაშვილს უკრაინული კარიერა ვერ აეწყო. ჩვენიანი ჯერ კიევის „დინამოში“ ჩაიკარგა, მერე კი „დნიპროში“. სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრაზე ლაპარაკიც არაა, ალეკო ამ ორივე გუნდის დუბლშემადგენლობებშიც ვერ გამოირჩეოდა.

ამისულაშვილი „დნიპროში“ განათხოვრებით იყო და ისევ კიევურ გრანდს დაუბრუნდა, მაგრამ... დინამოელთა მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა იგი იალტის შეკრებაზე არ წაიყვანა და, სავარაუდოდ, ჩვენიანს კიეველთა დუბლებში თუ მიუჩენენ ადგილს. თუმც ახლა ესაც საეჭვოა: თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამისულაშვილი სხვა კლუბში გაიყიდება, მსურველიც გამოჩნდა: პოლტავის „ვორსკლას“ მწვრთნელი ვიქტორ ნოსოვი დაინტერესებულია ქართველით და სავარაუდო ახალშენაძენთა შორისაც მოიაზრებს. აქვე ვთქვათ, რომ ალეკოს „ვორსკლაში“ გადასვლაზე ზამთარშიც იყო ლაპარაკი.

**ილია ნანობაშვილი**

# ლილუაშვილმა ოდესაში შეცურა

**„თბილისის“** ნახევარმცველი ირაკლი ლილუაშვილი შესაძლოა უკრაინის ჩემპიონატის მეექვსეადგილოსან ოდესის „ჩერნომორეცში“ გადავიდეს. ჩვენებური რამდენიმე დღეა, სემიონ ალტმანის გუნდში ვარჯიშობს, გუშინწინ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა მოლდოვური „შერიფის“ წინააღმდეგ, მანამდე კი ორმხრივ თამაშში გოლის გატანაც მოასწრო.

ვაჟა თარხნიშვილის „შერიფთან“ ლილუაშვილი მეორე ტაიმში გავიდა მოედანზე და 86-ე წუთზე შეცვალეს. მატჩი „ჩერნომორეცმა“ 1:0 მოიგო.

ლილუაშვილი „თბილისზე“ მეტად „ლოკომოტივიდან“ თუ გვცნობია — მე-16 ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ირაკლი სწორედ „ლოკომოტივში“ თამაშობდა, თუმცა ზამთარში გუნდი შეიცვალა და ლუის ცაკარიასთან გადაბარგდა, მაგრამ ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

**ქახა შალამბერიძე**

# შოთა კაშია უცხოურ ოპერაციას თბილისში ელის



„თბილისთან“ მატჩში დაშავებული შოთა კაშია ისევ საოპერაციოა

**თბილისის „დინამოს“** ახალგაზრდა მცველი შოთა კაშია გუნდს ტრავმის გამო რომ გამოაკლდა და გერმანული შეკრებიდან შინ დაბრუნდა, უკვე გამცნეთ.

შოთას მენისკი დაუზიანდა და გაწყვეტილი ჯვარედინი იოგებიც საოპერაციო აქვს, თუმცა ჯერ „დინამოს“ ჩამოსვლას ელის.

— გუნდი ჩამოვა და მერე გადავწყვეტთ, რა როგორ გავაკეთოთ. ფაქტია, ტრავმა ძალიან მძიმეა, ოპერაციის მერე სულ მცირე ექვსი თვე ვერ ვითამაშებ. ისე კი, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ოპერაციას საზღვარგარეთ გავიკეთებ, ოღონდ, ჯერ არ ვიცი, რომელ ქვეყანაში — გვითხრა გუშინ შოთამ.

შეგახსენებთ, რომ ეს ის მუხლია, კაშიას დაახლოებით ორი თვის წინ „თბილისთან“ საჩემპიონატო მატჩისას რომ დაუშავდა და მაშინაც ოპერაცია დასჭირდა...

**ქახა შალამბერიძე**

# თვალ თვალი




*ჩვენც გვიყვარს აფხაზეთი და ამიერიდან აფხაზეთის გუნდი უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. ეს ჯეელი კი შარშან მისულა „ლოკომოტივის“ სტადიონზე პატრიოტული მაისურით და აწი იქ უმაღლესლიგელ სოხუმის „დინამოსაც“ იხილავს.*





# ახალკაცი და რამიშვილი ყველანი თექვსმეტისთვის

**როდის** დაიწყება საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატი და რამდენგუნდიანი იქნება ის?

სწორედ ამ აქტუალური საკითხის თაობაზე გაიმართა შეხვედრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსა და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს შორის.

პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ ფედერაციისა და პროფლიგის წარმომადგენლებით შეიქმნება საგანგებო კომისია, რომელიც შეისწავლის უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ შემზადებულ კლუბებს.

კომისია მომდევნო კვირიდან დაკომპლექტდება და მუშაობასაც დაიწყებს, შეამოწმებს კლუბების ინფრასტრუქტურას და მათ ფინანსურ გარანტიებსაც მოსთხოვს. შარშან პროფლიგამ გარანტიად სამასი ათასი ლარი მოსთხოვა კლუბებს, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას რამდენიმე გუნდი მაინც უფულოდ დარჩა. თუ რა თანხის გარანტიას მოსთხოვენ ამჯერად უმაღლესი ლიგის კლუბებს, ფედერაციასა და პროფლიგას ჯერ არ განუსაზღვრავთ.

კომისია 17-18 ივლისს დაასრულებს საქმიანობას და დასკვნასაც გამოამზეურებს, რომელზე დაყრდნობითაც პროფლიგის კონფერენცია 22 ან 23 ივლისს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტს შეიმუშავებს და ეს რეგლამენტი დასამტკიცებლად ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს გადაეგზავნება.

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, უმაღლესი ლიგა ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დამდეგს დაიწყება.

ახალკაცისა და რამიშვილის შეხვედრაზე ერთხელაც ითქვა ფედერაციის ახალი პრეზიდენტის სტრატეგიის შესახებ — სასურველია, უმაღლესი ლიგა 16-გუნდიანი იყოს.

**დავით თავართქილაძე**

# გორმა ქუდი მოატრიალა

## სიტყვა საქმე იყოს: მიხეილ ქარელი დილას ნათელ დილას დაჰპირდა

**გორის „დილა“** უმაღლეს ლიგაში უეჭველად ითამაშებს, ეს საკითხი გადაწყვეტილია.

რამდენიმე დღის წინ გუნდის მომავალი ძალიან ბუნდოვანი იყო, გიორგი ნემსაძე და „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელს კლუბის შესასყიდ თანხაზე და პირობებზე ვერ შეუთანხმდნენ, ახალი პატრონიც აღარავინ ჩანდა. ვის რად უნდოდა გაპარტახებული, დაშლილი გუნდის მფარველობა...

გუშინ კი გავიგეთ, რომ „დილას“ პატრონობა თავად მიხეილ ქარელს გადაუწყვეტია. მოგეხსენებათ, ქარელმა ასევე უმაღლესლიგელი „ცხინვალის“ დაფინანსებაც ითავა, მაგრამ მას ორი კლუბის მფარველობა გადაუწყვეტია და თუ გასწვდება ამდენ საქმეს, ამას რა აჯობებს. მთავარია, დაპირება დაპირებად არ დარჩეს, რაც იმდენი გვინახავს და მოგვისმენია, თვლა ჭირს.

მიხეილ ქარელი ხელმეორედ შეხვედრია საქართველოს ფეხბურთის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და მისგან „დილას“ უმაღლესლიგელობის გარანტია მიუღია, ოღონდ, კლუბს ნორმალური დაფინანსება უნდა ჰქონდესო. შიდა ქართლის პირველკაცი ორშაბათს გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე მივა და გუნდს შეხვდება.

და ვინაა გუნდში? უმეტესად ჭაბუკები ვარჯიშობენ, შედარებით გამოცდილი დილელები კი „ცხინვალში“ გადავიდნენ, თუმცა მათ კლუბისგან განთავისუფლების ფურცლები ჯერ არ მიუღიათ. ოფიციალურად მხოლოდ ბექა და გიორგი ჩიტაიები და დავით მაისურაძე არიან გუნდიდან წასულები, დანარჩენებს კი „დილასთან“ კონტრაქტი აკავშირებთ. ისიც გავიგეთ, რომ გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება — ლაპარაკია ვლადიმერ ხაჩიძის დანიშვნაზე, თუმცა ეს საკითხი ორშაბათამდე არ გაირკვევა.



გორის „დილა“ შესაძლოა ვლადიმერ ხაჩიძემ ჩაიბაროს

ამ ეტაპზე ქარელმა უკვე გამოჰყო გარკვეული თანხა „დილასთვის“, ერთ კვირაში კი გუნდმა შესაძლოა შეკრებაზე წასვლაც მოახერხოს.

გაჩნდა სტადიონის პრობლემაც: „დილას“ ეს არ ეხება, რადგან „თენგიზ ბურჯანაძე“ მას ეკუთვნის, მაგრამ სად ითამაშებს „ბორჯომი“, სანამ თავის სტადიონს ააშენებს? „დილას“ ამ ეტაპზე ბორჯომელთათვის უარი უთქვამს, „თენგიზ ბურჯანაძეზე“ ვერ შეგიშვებთო. რაც შეეხება „ცხინვალს“, ისინი გორის მეორე სარბიელზე, „ქართლზე“ ითამაშებენ.

და კიდევ, გორში მეორე გუნდიც იქნება, რომელსაც „ქართლი“ ერქმევა. კულუარებში ამბობენ, ამ კლუბს გიორგი ნემსაძე მიხედავსო. გეხსომებათ, საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ამას წინათ თქვა, ახალი კლუბის შექმნას ვფიქრობთ და რეგიონალლიგიდან დავიწყებთ თამაშსო.

ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

# რვა დღეც და მინდორი მზადაა

## ზესტაფონი სასამართლოს ჯერ არ ეკარება

**„ზესტაფონი“** ამჟამად საქართველოს ნაკრების ბაზაზე ვარჯიშობს, დაახლოებით 10-12 დღეში კი თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება. ჯერაც უცნობია, ზუსტად როდის დაიწყება ახალი სეზონი და ზესტაფონელებიც სწორედ ამის გარკვევას ელიან, რათა თურქეთში ორკვირიან შეკრებაზე წავიდნენ, იქიდან კი პირველი ტურის წინა დღეს დაბრუნდნენ.

თემურ მახარაძის გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა, მისვლით კი ოფიციალურად ჯერ არავინ მისულა. ეგაა, კარგა ხანია, „ზესტაფონში“ ვარჯიშობს ექსტორპედოელი ნახევარმცველი ალეკო კოშკაძე, რომელთანაც კონტრაქტის გაფორმება დღეების ამბავია — მხარეები პირობებზე შეთანხმებულნი არიან. და კიდევ, სავარაუდოდ „ზესტაფონში“ ითამაშებს 17 წლის ფორვარდი ლადო ლაფერაშვილიც: იგი ჯერ მიუნხენის „ბაიერნის“, მერე კი „ნიურნბერგის“ ახალგაზრდულ გუნდებში თამაშობდა. წესით, ლადო ახლა იტალიის ქალაქ ლინიანოში უნდა ყოფილიყო ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, სადაც კობა ჟორჟიკაშვილის 18-წლამდელთა ნაკრები ითამაშებს. ლაფერაშვილი ნაკრებთან ერთადაც ვარჯიშობდა, თუმცა გერმანიიდან ახალჩამოსულმა ვიზის აღება ვერ მოასწრო და იტალიის ნაცვლად ახლა ზესტაფონშია. ჯერჯერობით არ ჩანს მოლდოველი ნახევარმცველი სერგეი ნუდნი, თუმც მას ამ დღეებში ელიან.

სხვა სავარაუდო ტრანსფერებზე ახალი არაფერია, „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია უცხოეთშია, ჩვენ კი კლუბის გენერალურ დირექტორ დავით აბაშიძეს დავუკავშირდით. სასიამოვნო ისაა, რომ 10 ივლისს ცენტრალური სტადიონის მინდორს ვეღარ იცნობთ, შარშანდელი ყანის ნაცვლად ახალი საფარი იგება...

„დრენაჟი გაკეთებულია და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ახალი სეზონიდან „ზესტაფონი“ იდეალურ საფარზე ითამაშებს. სამ მხარეს ტრიბუნები შენდება, თუმცა მაინცდამაინც არ ვჩქარობთ, რადგან წლეულს ევროტურნირებზე ვერ გავედით. ტრიბუნებზე 10-15 ათასი მაყურებელი დაეტევა და მთლიანობაში ჩვენი სტადიონი საქართველოში საუკეთესო იქნება“ — გვითხრა აბაშიძემ.

ამას წინათ ვწერდით, სტადიონის მეოთხე მხარეს ტრიბუნის აშენებას ბენზინგასამართი სადგური უშლის ხელს და ფეროელთა ხელმძღვანელობა სასამართლოში ჩივილსაც არ მოერიდება, თუ რამ პრობლემა შეექმნებათ. თუმცა, აბაშიძემ გვითხრა, ეს საკითხი ჯერ შეჩერებულია, როცა მეოთხე ტრიბუნის აშენებას გადავწყვეტთ, მერე სასამართლომდეც შეიძლება საქმის მიყვანაო.



გარდა „ცენტრალურისა“, ზესტაფონში მეორე სტადიონის კეთილმოწყობასაც ბევრი აღარაფერი უკლია. იქ მეოთხე თაობის ხელოვნურსაფარიანი მინდორი დაიგება, რაც დაახლოებით სამი კვირის ამბავია. ასე რომ, ფეროელებს სხვა ქალაქებში აღარ მოუწევთ შეკრებებზე წასვლა, ხელოვნურსაფარიან მინდორზე ვარჯიშიც შეიძლება და მატჩების გამართვაც — უეფა ამას არ კრძალავს.

ბოლოს კი გეტყვით, რომ იმერლები ინტენსიურად მუშაობენ კლუბის ვებგვერდის შესაქმნელად. „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, სეზონის დაწყებისთვის გვერდი მზად იქნებაო.

**ლუკა თალაქვაძე**

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდები | მოვიდნენ | წავიდნენ | სეზონისწინა მატჩები |
|---|---|---|---|
| დინამო თბილისი | ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), ქემოკლიძე (თბილისი), *აკობია (კოლხეთი)* | კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ჭელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (ანართოსისი, კვიპროსი), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭეიშვილი (?) | ფორტცაიხი (გერმანია) [illegible], ჰალბრონი (გერმანია) 5:0, რადოსფელდი (გერმანია) 8:1 |
| ტორპედო ქუთაისი | კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), კვეტენაძე (გუსარი, აზერბაიჯანი), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი), *ძოძუაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი)* | ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ბორჯომი), ბაქრაძე (ბორჯომი), მემარნიშვილი (ბორჯომი), *მერლანი (?), ბოლქვაძე (?)* | |
| თბილისი თბილისი | | გრიშიკაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), მიქიაშვილი (ბორჯომი), გენაძე (ბორჯომი), ლილუაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), *ლუის ცაკარიასი (მთავარი მწვრთნელი), მინ ჩოი (?), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მესხი (?)* | |
| ლოკომოტივი თბილისი | შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო), ფურთუხია (ზესტაფონი), გიზო შენგელია (კოლხეთი), სირაძე (ტრირი, გერმანია), ინოგოვი (?, უზბეკეთი) | ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მძინარიშვილი (კახეთი), *გ. ონიანი (სკონტო, ლატვია)* | სიონი 6:1, ტირანა (ალბანეთი) [illegible] |
| ზესტაფონი ზესტაფონი | კოშკაძე (ტორპედო), გუშარაშვილი (ბათუმი), *გ. ფიფხაძე (თბილისი), შ. ჯიქია (თბილისი), ფიფია (თბილისი)* | გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), ფურთუხია (ლოკომოტივი), *ზირაქიშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), ქვარხაია (?), შავგულიძე (?), სიმხიშვილი (?), ბესარაშვილი (?)* | |
| ვიტ ჯორჯია თბილისი | მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი) | მერებაშვილი (სიონი), ინწკირველი (?, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?) | ლომბარდ პაპა (უნგრეთი) [illegible] |
| დინამო ბათუმი | *ნუნუნავა (ტორპედო)* | თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), ჩოხელი (ბორჯომი), დარჩიძე (?), ბეგლარ სედღორაძე (?), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სოლოღაშვილი (?), ჩოხელი (?), ხუჯაძე (?), ხომერიკი (?) | |
| სიონი ბოლნისი | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ხანიშვილი (დილა), კ. ხანიშვილი (დილა), კუკულაძე (გურია), დონდოლაძე (სპარტაკი) | რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი), დათუაძე (?), ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვამაკიძე (?), დოლიძე (?) | ლოკომოტივი 1:6, [illegible] |
| კოლხეთი ფოთი | | კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), აკობია (დინამო), ბათიაშვილი (?) | |
| დილა გორი | *ხაჩიძე (მთავარი მწვრთნელი)* | მამესნარაშვილი (მთავარი მწვრთნელი), თ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი), ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი) | |
| ამერი თბილისი | **ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი)** | ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?) | |
| ბორჯომი ბორჯომი | **მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი),** რაქვიაშვილი (ტორპედო), ბაქრაძე (ტორპედო), ჩიგოშვილი (?), ქორიძე (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი), მიქიაშვილი (თბილისი), გენაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო), ჩოხელი (ბათუმი), *კ. შალამბერიძე (დინამო), პაპიძე (უგუნდო)* | კვეკვესკირი (სოხუმი), *ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), ნივნივაძე (?)* | სიონი 5:0 |
| დინამო სოხუმი | **ყორყოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი),** რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო), სიჭინავა (თურანი, აზერბაიჯანი)* | | |
| კახეთი თელავი | **კვიტაიშვილი (დინამო),** კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი), | | |
| ცხინვალი ცხინვალი | მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), ა. ლაბაძე (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?) | | |
| სპარტაკი თბილისი | | ტატანაშვილი (ამერი), ლონდოლაძე (სიონი) | |

მუქი შრიფტით: გადაწყვეტილი ტრანსფერი, ღია შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი,
დახრილი შრიფტით: სავარაუდო ტრანსფერი

# ფიფამ თქვა, თქვა, თქვა, ეს რა დაგვემართა...
## რომას ბაზარი მორჩა




ფილიპ მექსესმა „რომა“ დაალალატა

ფიფამ იტალიურ „რომას“ ტრანსფერი აუკრძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ რომაელებს ერთი წლის განმავლობაში ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვის უფლება აღარ ექნებათ, რადგან შარშან „ოსერიდან“ შეძენილი ფილიპ მექსეშის სანაცვლოდ ფრანგულ კლუბს კუთვნილი თანხა არ გადაუხადა.

ერთი თვის წინ „რომას“ აცნობეს, რომ „ოსერს“ 5 მილიონ 300 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს, ხოლო თვითონ ფეხბურთელს შარშან ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს.

იტალიური კლუბის ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ. მათი საჩივარი თუ არ დააკმაყოფილეს, „რომა“ მომავალი სეზონისთვის იმ მოთამაშეებით მოემზადება, რომლებიც ახლა ჰყავს გუნდში.

ფიფას ამ გადაწყვეტილებით ტურინის „იუვენტუსიც“ იზარალებს, რადგან „ბებერ ქალბატონს“ ანტონიო კასანოს შეძენა სურდა, ხოლო „რომამ“ უკვე მოასწრო შაბანი ნონდას, სამუელ კუფურისა და როდრიგო ტადეის ყიდვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

*კრისტიან ვიერი თავისუფალი კაცია, რადგან მილანის „ინტერმა“ მასთან კონტრაქტი გაწყვიტა, თუმც ფორვარდს პირობების თანახმად გუნდში კიდევ ერთი წლით დარჩენა ეკუთვნოდა. კრისტიან ვიერიმ, ცხადია, კომპენსაცია მიიღო და რობერტო მანჩინის დაშორდა, რომელთანაც არცთუ ტკბილი ურთიერთობა ჰქონდა*

# მამლის ყივილი ვიერისთვის
## ბობო ინტერს გაშორდა

**გასულ სეზონში** „ბობო“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა და ამან გაანაწყენა. გარდა ამისა, ივნისში, იტალიის თასის მოგების შემდგომ ყეენობაზე კრისტიან ვიერი არ დარჩა, რითაც არგძნობინა მანჩინის, რომ გულზე არ ეხატება.

მილანური კლუბის ვებგვერდზე ოფიციალური ცნობა გაჩნდა, სადაც მეგოლეს მადლობას უხდიან გაწეული სამსახურისთვის. კონტრაქტგაწყვეტილმა კი კომპენსაციის სახით დაახლოებით 6 მილიონი ევრო მიიღო.

აქვე ისიც ვქვათ, რომ „ლაციოდან“ „ინტერში“ 1999 წელს გადასულმა ვიერიმ „შავ-ლურჯი“ მაისურით 122 გოლი გაიტანა.

იტალიელი ფორვარდის გადაბირება არაერთ გუნდს სურდა, მათ შორის სერია A-ს გრანდებსაც, მაგრამ ამ სატრანსფერო შეჯიბრში ლონდონის „ტოტენჰემიც“ ჩაერია, რომელიც ფეხბურთელის ძირითად შემადგენლობაში თამაშს ჰპირდება, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის „სკუადრა აძურაში“ მოხვედრის მეტი შანსი გექნებაო.

ამასობაში, მილანის „ინტერმა“ კამერუნის ნაკრების მარცხენა მცველი პიერ ვომე შეიძინა. ვომე ბარსელონის „ესპანიოლში“ თამაშობდა და გასულ ზამთარს „ბრეშაში“ გადავიდა, რომელიც სერია B-ში გავარდა. აღსანიშნავია, რომ 26 წლის მცველი მილანელებს მუქთად ერგოთ, როგორც თავისუფალი აგენტი.

გარდა ამისა, მადრიდის „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ განაცხადა, სულაც არ ვაპირებ, ვალტერ სამუელი „ინტერს“ დავუთმოო: „მე ვესაუბრე სამუელსა და მის აგენტს და ავუხსენი, რომ არგენტინელი ფეხბურთელი „რეალს“ სჭირდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**



კრისტიან ვიერი ალბათ პრემიერლიგაში ითამაშებს

# არსენალის თოფი სევილიაშია
## ანრი დუბაიში გამოჩნდა



ჟულიო ბაპტისტას თვალი „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა დაადგა

**ლონდონის** „არსენალი“ ალექსანდრ გლების შეძენის შემდეგ ახალი ფეხბურთელის, „სევილიას“ ბრაზილიელ მეგოლე ჟულიო ბაპტისტას გადაბირებას ცდილობს, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ სდომებია. ბაპტისტამ ესპანურ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა და თვალი პრემიერლიგისკენ ამიტომ უჭირავს. ბრაზილიელმა ფორვარდმა პრიმერადივიზიონის ბოლო ორ სეზონში 50 გოლი გაიტანა და უმალ მსურველები გამოუჩნდნენ. ესპანური მედიის ცნობით, „არსენალის“ ვიცე-თავჯდომარე დევიდ დინი ტრანსფერის მოსაგვარებლად სევილიაში უკვე ჩაფრინდა. დინი იმედოვნებს, რომ ბაპტისტასთან და „სევილიას“ პრეზიდენტ ხოსე მარია დელ ნიდოსთან მორიგდება.

„არსენალის“ ახალ სპონსორთან დუბაიში სტუმრად ჩასულმა ტიერი ანრიმ კი თქვა, გუნდიდან წასვლაზე არც მიფიქრიაო. ამბობდნენ, რომ ფრანგი „ბარსელონას“ სურსო, მაგრამ ანრიმ განაცხადა: „არსენალში“ ბედნიერი ვარ და მომავალ სეზონში ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლო“.

დაბოლოს, „მეთოფეთა“ ახალგაზრდა ჰოლანდიელმა ფორვარდმა ოვუსუ აბეიემ ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა, რადგან არსენ ვენგერმა მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე მისი თამაში ნახა და პროგრესი შეამჩნია.

**ვაჟა ხუციშვილი**

*ჯერ კონტრაქტი არ გაფორმებულა, მაგრამ „ვილიარეალის“ მეკარე ხოსე მანუელ რეინას „ლივერპულში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია.*

*პრიმერადივიზიონის გასულ სეზონში რეინამ საშინაო მატჩებში მხოლოდ ათი გოლი გაუშვა, მისმა გუნდმა კი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. ათგოლიანი მეკარით ბევრი ევროგუნდი რომ დაინტერესდა, საკვირველი არ არის*

# მამის ასლი
## მიგელის შვილი ხოსე



ხოსე მანუელ რეინას „ლივერპულში“ ელიან

„**გასული სეზონი** ყოველმხრივ კარგი გამოვიდა — თქვა რეინამ — თავიდან უეფას თასზე ვფიქრობდით, მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადავაჭარბეთ და ასეთი შედეგის შემდეგ თავად წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზეც დავდგებოდით“.

24 წლის მეკარის აზრით, „ვილიარეალში“ განსაკუთრებული გუნდური სულია: „შარშან სექტემბერშივე დაგვისახეს მიზანი და მთელი წლის მანძილზე საკუთარი სათამაშო ყაიდისთვის არ გვიღალატია. უეფას თასზე ცოტა არ გაგვიმართლა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, თუმც, ვფიქრობ, რომ ევროსარბიელზე მეტს ვიმსახურებდით“.

ხოსე რეინას თამაშით მოხიბლულმა ლუის არაგონესმა მაისის ბოლოს იგი ნაკრებში მიიწვია, მეკარეობა მას გენში აქვსო. „მე მამისთან, მიგელთან ერთად მადრიდის ატლეტიკოში“ მითამაშია და ის ზედგამოჭრილი მამაა“.

მიგელის შვილმა იცის, რომ ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იკერ კასილიასთან „შეხლა“ მოუწევს: „ვფიქრობ, კასილიასი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ფორვარდებთან პირისპირ შეხვედრისას ყოჩაღობს. გარდა ამისა, ეპიზოდებში ორიგინალურად იქცევა. მომავალში ალბათ მეც წინ წავიწევ. მსურს, ყოველმხრივ გავიზარდო, როგორც მეკარე. ყველაზე მეტად გამოსვლებზე თამაშის დახვეწა მჭირდება. ნებისმიერი ჩემი კოლეგა გეტყვით, რომ ამ კომპონენტის სრულყოფა თითქმის შეუძლებელია“.

ხოსე რეინამ რამდენიმე პენალტის მოგერიებაც შეძლო. საჯარიმო დარტყმებზე კი თქვა: „ძალიან მიჭირს ისეთი ბურთების აღება, როცა ბურთი თითქოს მაღლა მიფრინავს და უცბად დაბლა კუთხეში ეშვება. ასე ასრულებენ ლუიშ ფიგუ და მარკოს ასუნსაო“.

„ვილიარეალის“ მეკარე ამბობს, რომ გასულ სეზონში „ლივერპულის“ თამაშს ხშირად უყურებდა, რადგან იქაურ ესპანელ ლეგიონერებთან მეგობრობს. „ენფილდი“ ძალიან მომწონს. „ლივერპულის“ ქომაგები განსაკუთრებულნი არიან“ — აღნიშნა რეინამ, რომელიც ალბათ მალე რაფაელ ბენიტესთან გადავა.

**ვაჟა ხუციშვილი**





ჯოელ გლეიზერი ალექს ფერგიუსონს უფლებებს არ შეუზღუდავს

# სეიფის გასაღები ფერგიუსონისთვის

„მანჩესტერ იუნაიტედ-ის“ ახალი პატრონის შვილმა, ჯოელ გლეიზერმა განაცხადა, ალექს ფერგიუსონს ახალი ფეხბურთელების შესაძენად იმდენი ფული ექნება, რამდენსაც მოითხოვსო.

„ტყუილია, რომ ამბობენ, თითქოს ჩვენ ყოველწლიურად მხოლოდ 25 მილიონ გირვანქას გამოვყოფთ ტრანსფერებისთვის. მაგალითად, შარშან მანჩესტერელებმა უეინ რუნი 27 მილიონ გირვანქად იყიდეს და მწვრთნელი თუ ჩათვლის, რომ მას ესა თუ ის ფეხბურთელი აუცილებლად ესაჭიროება, საგანგებო ფონდიდან ფულის დახარჯვა შეუძლია. მართალია, გულშემატკივრები ძალიან გაბრაზებულნი არიან, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, მსოფლიოში საუკეთესო გუნდი შევქმნათ და ვიმედოვნებთ, ქომაგებს წყენა მალე გადაუვლით“.

სანამ ახლებს იყიდიან, „ევერტონმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ლუი საა ერთი წლით სთხოვა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გასული ლივერპულელები გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობენ. მათ უკვე გადაიბირეს საიმონ დევისი და პერ კროლდრუპი, ახლა კი ფორვარდს ეძებენ და ლუი საას მიადგნენ. „ევერტონის“ მწვრთნელ დევიდ მოიესს „რომას“ მცველი მატეო ფერარიც სურდა, მაგრამ ეს ფეხბურთელი არ მოეწონა. ფერარის გარდა, მოიესმა „გრაცერის“ აუფჰაუზერი და „იუვენტუსის“ სტეფან აპიაც დაიწუნა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, ალან სმიტი, „ნიუკასლის“ მთავარი სამიზნე გახდა. „კაჭკაჭთა“ მწვრთნელი გრემ სუნესი 7 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებს, სწორედ იმდენის, რამდენიც თვითონ მანჩესტერელებმა „ლიდსს“ შარშან ჩაუთვალეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ატლეტიკომ პეტროვი იქჰირა
## რა ამბავია, 10 მილიონი?



მარტინ პეტროვი

**გერმანული** „ვოლფსბურგის“ ბულგარელი ლეგიონერის, მარტინ პეტროვის მადრიდის „ატლეტიკოში“ გადასვლა შესაძლოა, ვერ მოხერხდეს. საქმე ისაა, რომ გერმანელები ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვენ, რაც „ატლეტიკოს“ შეფებს ძვირი ჰგონიათ. არადა, პეტროვი „ათლეტებს“ ძალიან სურთ — გუნდის არგენტინელ მწვრთნელ კარლოს ბიანკის მიაჩნია, რომ მარტინი „ატლეტიკოს“ მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

„ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ამ ფეხბურთელის შეძენით. თუ მისი სატრანსფერო ფასი უსაშველოდ დიდი არ იქნება, მარტინ პეტროვს მალე „ვისენტე კალდერონზე“ ვიხილავთ“ — აცხადებდა ორიოდე დღის წინ სენიორ ბიანკი, თუმც, ვითარება ახლა მკვეთრად შეიცვალა და თუ ბიანკისა და კომპანიას ასე სასურველი ბულგარელის მონადირება მართლაც სურთ, ჯიბეზე მეტი მონდომებით უნდა გაიკრან ხელი.

**ლადო ხომერიკი**

# რა გინდათ საზღვარგარეთ?
## დარჩით ჩვენთან

*საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა დრო გამონახა და ახალგაზრდა ფრანგი ფეხბურთელები გააკრიტიკა, რომლებიც, ჯერ მოუმწიფებელნი, საზღვარგარეთ გარბიან*



რაიმონ დომენეკი საფრანგეთიდან ახალგაზრდების წასვლის წინააღმდეგია

**ლონდონის** „არსენალის“ ყმაწვილმეგოლე ჟერემი ალიადირი გლაზგოს „სელტიკში“ ერთი წლით აპირებს გადასვლას და დომენეკიც ამ ამბავმა გააბრაზა. უკვე ოთხი წელია, ალიადირი „არსენალის“ ფეხბურთელია, მაგრამ სულ 18 მატჩში ითამაშა. ფრანგთა თავკაცი ამბობს, სამშობლოში რომ დარჩენილიყო, ასე არ დაემართებოდაო: „ჟერემი საფრანგეთიდან, კლერფონტანის აკადემიიდან წავიდა და ეს დიდი შეცდომა იყო. ფეხბურთელები ამ შემთხვევაში დიდ დროს კარგავენ. როცა თავის სამშობლოში თამაშობდა და 21-წლამდელთა ნაკრებშიც იწვევდნენ, გამოცდილება ემატებოდა, „არსენალში“ კი სკამზე დასვეს. ძალიან ბევრი ახალგაზრდა უაზროდ გარბის საზღვარგარეთ. ჩემთვის, როგორც ნაკრების მწვრთნელისთვის, ის ფეხბურთელებია მთავარი, რომლებიც თავიანთ კლუბებში ძირითად შემადგენლობაში არიან“.

საფრანგეთში ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობენ. პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტმა ფილიპ პიატმა განაცხადა: „ვცდილობ ახალი პროექტის მომზადებას, რომლის თანახმადაც კლუბებმა ახალგაზრდა (17 წლის) ფეხბურთელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი უნდა გააფორმონ, რათა ისინი ქვეყნიდან არ გაიქცნენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რეალი ურუგვაელებს ითვისებს
## ვინაა კარლოს დიოგო?





ფლორენტინო პერესმა „რეალს“ ურუგვაელი მცველი კარლოს დიოგო უყიდა

**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ურუგვაელი პაბლო გარსიას მერე, კიდევ ერთი ფეხბურთელი უყიდა გუნდს — „რეალმა“ „რივერ პლეიტის“ აწ უკვე ყოფილი მცველი კარლოს დიოგო შეიძინა. და საინტერესო ის არის, რომ დიოგოც ურუგვაელია.

„ესპანური პრიმერასა და კერძოდ, მადრიდის „რეალის“ ფანი ყოველთვის ვიყავი. ძალიან გახარებული ვარ, ოცნება რომ ამიხდა“ — განუცხადა ესპანელ ჟურნალისტებს კარლოს დიოგომ, რომელიც მადრიდში ხუთ წელიწადს ითამაშებს.

ურუგვაელი უკანახაზელი 1983 წლის 18 ივნისს, მონტევიდეოში დაიბადა და ყმაწვილკაცობისას იქაური „პენიაროლის“ მცველი გახლდათ. 2005 წლის დასაწყისში კი „რივერ პლეიტში“ გადავიდა. აღსანიშნავია, რომ კარლოს დიოგო „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თითქმის უფასოდ მიდის, რახან ადვოკატთა წყალობით, მისი „რივერთან“ უმტკივნეულოდ დაცილება მოუხერხდა.

ერთი სიტყვით, კარლოს დიოგო თანამემამულე პაბლო გარსიასთან ერთად, „რეალის“ ფეხბურთელი უკვე ოფიციალურადაა და ურუგვაელებიც გუნდს ივლისის მეორე ნახევარში დაგეგმილ აზიურ ტურნეზე გაჰყვებიან — „რეალმა“ ორი კვირის მანძილზე ჩინეთი, იაპონია და ტაილანდი უნდა „მოიაროს“.

**ლადო ხომერიკი**

Copa Toyota Libertadores '2005

**ლიბერტადორესის თასი 2005**

**ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი**

გვადალახარა (მექსიკა) 2:2 *ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია)* (0:3)

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ზიზინიო

# ფეხბურთის ტყუილ-მართალი





ლეგენდარული ზიზინიო მინდორზე საოცრებებს ახდენდა

*(დასაწყისი გუშინდელ „სარბიელში")*

## 1950

ამ მუნდიალის და მისი სრულიად დრამატული ბოლოს ამბავი იმდენჯერ მოგვისმენია, რომ მისმა კიდევ ერთხელ გამეორებამ ვინძლო მკითხველს გაზეთი მობეზრებით დაახურინოს კიდეც. ეს ის ჩემპიონატია, რომელიც ბრაზილიაში ჩატარდა, ჩემპიონი კი ურუგვაი გახდა, რომლის ფინალიც სინამდვილეში ფინალი კი არ იყო, უბრალოდ, დამაგვირგვინებელ ჯგუფში გადამწყვეტი თამაში ბოლო გამოდგა და ხალხს ფინალად დაამახსოვრა თავი. ეს ის თამაშია, რომელზეც ახალაშენებული „მარაკანა" პირთამდე გაივსო და იმის მერე ასეთი რამ აღარ გამეორებულა. ეს ის მატჩია, რომელიც ურუგვაიმ მასპინძლებს 2:1 მოუგო და რომლის რადიოკომენტატორს რუბენს ფურტადოს მთელი მატჩის განმავლობაში ამეორებინა: „ურუგვაის ნაკრები ჩვენსას ბევრად სჯობს, ჩვენი დაცვა ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ წევს, მეტოქე გაცილებით ძლიერია... უბრალოდ, მას ზიზინიო არ ჰყავს".

და კიდევ ერთი ისტორია 1950 წლიდან: ბრაზილია—იუგოსლავია, მასპინძლები ფრის შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გადიან. ზიზინიოს მცველის მოტყუებით გოლი გააქვს, ოღონდ უელსელი მსაჯი გრიფიტსი არ თვლის. მსაჯი მტყუანია, მაგრამ რაღ გინდა... ზიზინიო ხმას არ იღებს, თავჩახრილი ბრუნდება თავის ადგილას და... ორიოდ წუთში ზუსტად იმ გოლის ტყუპისცალი გააქვს. მსაჯს სხვა გზა არ აქვს, გოლს თვლის — ასეთია ლეგენდა, რომელიც არ არის გამორიცხული, დღემდე ცოცხალი იყოს, მაგრამ, ვაგლახ, ტყუილია! აი, ამიტომაა ისტორიას და ლეგენდებს ბრმად რომ არ უნდა ენდოს კაცი. კიდევ კარგი, 1950 წელს უკვე არსებობდა კინოკამერები და ავი თუ კარგი ჩანაწერებიც არსებობს. კინოქრონიკის კადრები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ სინამდვილეში მომხდარი და ვნახოთ, რომ ზიზინიოს მოკლე პერიოდში მართლაც გააქვს ორი, არჩათვლილი და ჩათვლილი გოლები, მაგრამ ეს გოლები ერთმანეთისგან ფრიად განსხვავდება. პირველი, არჩათვლილი ასე გადის: აღებირი საღლაც პენალტის ნიშნულის სიახლოვიდან არტყამს, ბურთს ორი იუგოსლაველი უწევება, ასხლეტილი ზიზინიოსთან მიდის და იგი ამატებს. არჩასათვლელი ამ გოლს რა სჭირს, ამ კადრებიდან გამომდინარე მართლა გაუგებარია, მაგრამ კარგი... მეორე, ჩათვლილი გოლი კი ისეთია, ლეგენდა რომ გვამცნობს: ზიზა მარჯვენიდან დრიბლინგით შედის და ზუსტად არტყამს.

„ის თამაში ჯერ კიდევ გასახდელში წავაგეთ. წინა დღეს, უბან ტიჟუკაში, სადაც დაბანაკებულნი ვიყავით, აუტანელი პირობები შეგვიქმნეს. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, უბრალო ადამიანები და ისე იქცეოდნენ, თითქოს უკვე ჩემპიონები ვყოფილიყავით, არადა, რეალურად ჩვენი გუნდი იმდენად ძლიერი არ იყო, ურუგვაის კი შესანიშნავად ორგანიზებული გუნდი ჰყავდა. და იცით რა მოხდა გასახდელში, როდესაც დამარცხებულები და თავჩახრილები შევლასლასდით? იქ ერთი საფეხბურთო დიდმოხელე დაგვხვდა, რომელმაც გვითხრა: „არ არის საჭირო თავზე ნაცრის დაყრა. ღმერთი განსაცდელს მუდამ რჩეულებს უგზავნის" — წერია მესტრე ზიზას წიგნში.

და მაინც, 1950 წლის ბრაზილიური დრამა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გამოდგა. ღვთის რჩეულთა გულშემატკივრებს შორის იმედგაცრუების გამო, თვითმკვლელობის რამდენიმე შემთხვევაც კი შემორჩა მეხსიერებას. და ამ ამბავმა, ბუნებრივია, ზიზინიოზეც ძალიან იმოქმედა. 1950 წლის შემდეგ იგი კარგა ხანს გაურბოდა ჟურნალისტებს, რადგან ბევრ რამეში სწორედ მათ სდებდა ბრალს.

„სამ ადამიანს — ამბობდა იგი მეკარე ბარბოსაზე, ცენტრალურ მცველ ჟუვენალსა და განაპირა მცველ ბიგოდეზე — იმ დღის შემდეგ ცხოვრება გაუმრუდდა. განსაკუთრებით ბარბოსა გაიწირა, ის, უბრალოდ, გალატაკდა. მას საშინლად, დაუნდობლად მოექცნენ."

2000 წლის ივლისში, როდესაც რიო დე ჟანეირომ „მარაკანას" 50 წლისთავი იზეიმა, მესტრე ზიზა შეკითხვებით და მოგონებებით ისე დატანჯეს, რომ საბრალო შერიკაცი აცრემლდა, ხოლო შემდეგ ახალგაზრდობა გაიხსენა, ერთი-ორი ლაზათიანი ფინტი გააკეთა და ისე გაუჩინარდა, კაციშვილმა ველარ მიაგნო.

## პელე

„როდესაც 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ურუგვაი დავამარცხეთ, გამიხარდა, რადგან ზიზინიოს გამო შური ვიძიე — ასე განაცხადა პელემ, რომლისთვისაც ზიზინიო ყოველთვის საგანგებო სიდიდე გახლდათ — ბავშვობაში ორი ადამიანის მიბაძვას ვცდილობდი, მამაჩემი დონდინიოსი და ზიზინიოსი. ზიზა აღმაფრთოვანებდა დაცვასა და თავდასხმაში ერთნაირი თამაშის უნარით. იგი ჩინებულად თამაშობდა თავით, ბრწყინვალედ არტყამდა კარში, ხოლო ცრუმოძრაობაში მისი ბადალი, უბრალოდ, არავინ მინახავს".

პელეს ბავშვობისდროინდელი მეგობარი იგონებს ისტორიას, როგორ ეხვეწებოდა 9 წლის ედსონი მამას მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩზე, ინგლის—ესპანეთზე წაყვანას. თამაში რიო დე ჟანეიროში იყო, ხოლო დუ ნასიმენტუების ოჯახი ბაურუში, ანუ ერთი დღე-ღამის სავალზე ცხოვრობდა.

„ინგლისში მეტიუზია!" — მამის დაყოლიებას ცდილობდა მომავალი ვარსკვლავი.

„რა? — წარბები აქაჩა დონდინიომ — ეგ მეტიუზი ზიზინიოს ბუცებზე თასმის შემკვრელადაც არ გამოდგება. მაგის გულისთვის ვერსად ვერ წაგიყვან".

და „მარაკანას" ხილვა რამდენიმე წლით გადაიდო.

1999 წლის 14 სექტემბერს კი „ფეხბურთის მეფე" მესტრე ზიზას 78-ე დაბადების დღეზე მივიდა და საჩუქრად მიუტანა ვერცხლის თეფში, რომელზეც ამოტვიფრული გახლდათ: „ჩემს მთავარ კერპს, აღფრთოვანებითა და მეგობრული განცდით".

ზიზინიო: „პელე გამომიტყდა, რომ ერთხელ, როდესაც ის და დონდინიო ტრიბუნიდან უცქეროდნენ ჩემს თამაშს, იგი მამას მიუბრუნდა და უთხრა: ერთ მშვენიერ დღეს მეც ასე ვითამაშებ".

**პაპუნა ძედია**



ზიზინიო „სან პაულუს" დაცვის ბურჯი გახლდათ



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 1 | ცსკა-დინამო | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 15:00 | 2 | კრილია-როსტოვი | 1.55 | 3.70 | 5.30 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 15:00 | 3 | სატურნი-სპარტაკი | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| 15:00 | 4 | შინიკი-მოსკოვი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 15:00 | 5 | ტომსკი-ალანია | 1.90 | 3.10 | 3.70 | 1.17 | 1.25 | 1.68 |
| 15:00 | 6 | ტორპედო-რუბინი | 1.85 | 3.10 | 4.00 | 1.15 | 1.26 | 1.74 |
| 15:00 | 7 | ზენიტი-ამკარი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 8 | ლოკომოტივი-ტერეკი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 11 | ალესუნდი-ვიკინგი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 20:00 | 12 | ბოდიო გლიმტი-ლინი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 13 | ბრანი-ჰამარი | 1.60 | 3.75 | 4.60 | 1.12 | 1.18 | 2.06 |
| 20:00 | 14 | მოლდე-ლილესტრიომი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 20:00 | 15 | ტრომსიო-რუსენბორგი | 3.30 | 3.50 | 1.95 | 1.69 | 1.22 | 1.25 |
| 22:15 | 16 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 2.55 | 3.40 | 2.45 | 1.45 | 1.24 | 1.42 |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 17 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 18 | სოგნდალი-ჰიოდი | 1.50 | 4.30 | 5.00 | 1.11 | 1.15 | 2.31 |
| 20:00 | 19 | ალტა-სანდეფიორდი | 4.00 | 4.20 | 1.65 | 2.04 | 1.16 | 1.18 |
| 20:00 | 20 | ფოლო-ბრინი | 4.50 | 4.00 | 1.55 | 2.11 | 1.15 | 1.11 |
| 20:00 | 21 | ჰონეფოსი-პორს გრენლანდი | 1.95 | 3.90 | 3.00 | 1.29 | 1.18 | 1.69 |
| 20:00 | 22 | მოსი-სკეიდი | 1.60 | 4.00 | 4.50 | 1.14 | 1.18 | 2.11 |
| 20:00 | 23 | სტაბეკი-ლოვ ჰამი | 1.15 | 7.30 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 4.21 |
| 20:00 | 24 | სტრიომსგოდსეტ-კონგსვინგერი | 2.00 | 3.90 | 2.90 | 1.32 | 1.18 | **1.66** |
| 20:00 | 25 | ტონსბერგი-მანდალი | 2.05 | 4.00 | 2.80 | 1.35 | 1.18 | 1.64 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 31 | ჰეკენი-ასირისკა | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 19:00 | 32 | ლანდსკრონა-ჰამარბი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 33 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 21:00 | 34 | ჰალმსტადი-მალმიო | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 22:00 | 35 | ელფსბორგი-კალმარი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 40 | გაის-ვესბი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 41 | ფალკენბერგი-დეგერფორსი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 19:00 | 42 | ენგელჰოლმი-ბრომაპოიკარნა | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 19:00 | 43 | იისტერსი-ტრელებორგი | 1.90 | 3.40 | 3.50 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 21:00 | 44 | ბოდენსი-მიალბი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **4 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 45 | იორებრო-ლიუნგსკილე | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 21:00 | 46 | ვესტერისი-ნორჩიოპინგი | 3.00 | 3.30 | 2.10 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 55 | როვანიემი-მარიეჰამნი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 17:00 | 57 | მიუპა-ლაჰტი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 56 | კუოპიო-ჰაკა | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 20:00 | 58 | ტპ 47-ჰიკ | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 20:00 | 59 | ტურკუ-კტპ | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |






**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 65 | ვესტმანაეიარი-ფილკირი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 71 | ლონგფორდი-შემროკი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 22:45 | 72 | კერპსი-სტ.პატრიკსი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 73 | ტოკიო-ჩერეძო | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 14:00 | 74 | გამბა-ვერდი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 14:00 | 75 | ივატა-კავასაკი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 14:00 | 76 | კაშივა-ჰიროსიმა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 14:00 | 77 | ნაგოია-ომია | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 78 | ოიტა-იოკოჰამა | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 14:00 | 79 | კობე-იჩიჰარა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 80 | კაშიმა-შიმიცუ | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| 14:00 | 81 | ურავა-ნიიგატა | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 86 | კოლამბუსი-ვაშინგტონი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 23:45 | 87 | დალასი-სან ხოსე | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 23:45 | 88 | ნივასი-ჩიკაგო | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 96 | კილმესი-ხიმნასია | 2.25 | 3.10 | 2.75 | 1.30 | 1.23 | 1.45 |
| 23:45 | 97 | რასინგი-სან ლორენსო | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 23:10 | 90 | არგენტინოს ხუნ.-ბანფილდი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| 23:10 | 93 | ინსტიტუტო-კოლონი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 99 | ვასკუ და გამა-გოიასი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:00 | 103 | კურიტიბა-პაისანდუ | 1.55 | 3.30 | 5.50 | 1.05 | 1.20 | 2.06 |
| 23:00 | 105 | ფლუმინენსე-პარანა | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 101 | ატლეტიკო მნ-ფლამენგო | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:00 | 104 | ფიგეირენსე-კრუზეირო | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:00 | 106 | ფორტალესა-კორინთიანსი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 23:45 | 107 | ინტერნასიონალი-სან კაეტანო | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 108 | პალმეირასი-ბოტაფოგო | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 23:45 | 109 | სანტოსი-ჟუვენტუდი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 112 | პენიაროლი-მირამარი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 22:00 | 113 | უონდერერსი-დანუბიო | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 22:00 | 118 | პაისანდუ-რენტისტასი | 3.80 | 3.30 | 1.75 | 1.76 | 1.19 | 1.14 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 110 | ნასიონალი-როხა | 1.20 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.13 |
| 22:00 | 111 | ლივერპული-რივერ პლეიტი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 22:00 | 114 | სერო-ტაკუარემბო | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 22:00 | 115 | სერიტო-დეფენსორი | 6.50 | 3.60 | 1.40 | 2.31 | 1.15 | 1.00 |
| 22:00 | 116 | რამპლა-პლასა | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 22:00 | 117 | ფენიქსი-კოლონია | 1.40 | 3.70 | 6.50 | 1.01 | 1.15 | 2.35 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიაში(20)** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 246 | ბრაზილია(20)-მაროკო(20) | 1.50 | 3.80 | 5.60 | 1.07 | 1.18 | 2.26 |
| 22:00 | 247 | არგენტინა(20)-ნიგერია(20) | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 230 | ვოლფსბურგი-შტურმი | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 18:00 | 231 | კლუჟი-ბილბაო | 4.30 | 3.30 | 1.65 | 1.86 | 1.19 | 1.10 |
| 19:30 | 232 | სლავენი-გლორია | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 20:00 | 233 | ჰამბურგი-პობედა | 1.15 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.46 |
| 21:00 | 234 | გენტი-ზლინი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 21:00 | 235 | სიგმა-პოგონი | 1.40 | 3.60 | 5.90 | 1.00 | 1.13 | 2.23 |
| 21:00 | 236 | სლოვანი-ბეიტარი | 1.35 | 3.90 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.50 |
| 21:30 | 237 | ანკარა-დუბნიცა | 1.45 | 3.50 | 5.70 | 1.02 | 1.15 | 2.16 |
| 22:00 | 238 | ლოკერენი-იანგ ბოიზი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:00 | 239 | სტ.ეტიენი-ქსამაქსი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 22:00 | 240 | ვარტექსი-ინტერი ტურკუ | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 23:15 | 241 | დეპორტივო-ბუდუჩნოსტი | 1.15 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.66 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 242 | ქალგირისი-დინაბურგი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 20:00 | 243 | ლანსი-ლეხი | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| 20:00 | 244 | ტამპერე-შარლერუა | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 20:00 | 245 | პაპა-გიოტებორგი | 2.50 | 3.20 | 2.30 | 1.40 | 1.19 | 1.33 |
| | | **ფრენბურთი,კაცები. მსოფლიო ლიგა.** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 10:00 | 304 | იაპონია-პორტუგალია | | | 2.20 | | | 1.45 |
| 17:00 | 305 | ბრაზილია-ვენესუელა | | | 1.03 | | | 8.00 |
| | | **ფრენბურთი,კაცები. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 306 | ესტონეთი-ფინეთი | | | 1.80 | | | 1.80 |
| 20:00 | 307 | თურქეთი-ესპანეთი | | | 1.45 | | | 2.20 |
| 20:00 | 308 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | | | 1.15 | | | 4.00 |
| 21:30 | 309 | გერმანია-რუსეთი | | | 2.30 | | | 1.40 |

# ფორმულა 1 (საფრანგეთი). 2 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 35.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 65.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 70.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 2.35 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ვებერი | 24.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 21.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 35.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | [illegible] |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | [illegible] |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 3.80 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 10.00 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 8.50 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 4.30 |
| 11:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 100.00 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება



ლაშა გამყრელიძე
გამთამაშებელი
183 სმ



ტატო ვაშაკიძე
გამთამაშებელი
190 სმ



გიორგი ცინცაძე
გამთამაშებელი
192 სმ



დავით საყვარელიძე
ფრთა
198 სმ



ნიკა ჩხატარაშვილი
ფრთა
202 სმ



დავით ერქვანია
თავდამსხმელი
208 სმ

# ბულგარეთისთვის მზად ვართ!

## გზად თურქეთი წაგვავარჯიშებს



ნუგზარ კანდელაკი

**გუშინ** ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობამ ბულგარეთში გამგზავრებამდე ბოლო პრესკონფერენცია გამართა. მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა ის 12 კალათბურთელი დაასახელა, ვინც ქალაქ ვარნაში B-დან A დივიზიონში გადასასვლელად იბრძოლებს.

ბულგარეთში ქართველი ახალგაზრდების მეტოქეები პოლონეთის, სლოვაკეთის, ფინეთის, ირლანდიისა და ისლანდიის ნაკრებები იქნებიან. ამ ჯგუფში ჩვენები ოთხეულში უნდა მოხვდნენ, რათა მეოთხედფინალში გავიდნენ და თუ ფინალამდეც მიაღწევენ, A დივიზიონის საგზურიც გარანტირებული ექნებათ.

ნუგზარ კანდელაკი:

— ძალიან სამწუხაროა, რომ ვიქტორ სანიკიძეც გამოგვაკლდა. მანუჩარ მარკოიშვილის შემდეგ ამ დანაკლისმა ძალიან დაგვხია უკან, მაგრამ რას ვიზამთ. ეგებ ამან კარგი სამსახურიც გაგვიწიოს იმ გაგებით, რომ გუნდი უფრო გამთლიანდეს გასაჭირის დროს. სანიკიძის ნაცვლად ბულგარეთში გიორგი ჩავლეიშვილი წამოვა. ჩვენ თადარიგი გვქონდა დაჭერილი და ვიზები დამატებით ორ მოთამაშეს გავუკეთეთ — ჩავლეიშვილს და ბესიკ ლეჟავას. თითქოს გული გვიგრძნობდა, რომ ვინმე გამოგვაკლდებოდა და აგერ, სანიკიძე საოპერაციოა...

— მოსამზადებელი ეტაპი პრაქტიკულად დასრულებულია. ხვალაც წავივარჯიშებთ მსუბუქად და ზეგ სტამბოლში გავფრინდებით. იქ თურქეთის ჭაბუკთა ნაკრებთან ორ სპარინგ-მატჩს გავმართავთ და 6 ივლისს ბულგარეთში ვიქნებით, 8-ში კი ტურნირიც დაიწყება...

— გუნდის მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. ბიჭები ფიზიკურადაც არიან მზად და ტაქტიკურადაც. მინდა, ერთხელაც განვაცხადო, რომ მოედანზე მხოლოდ ის მოთამაშე გავა, რომელიც მწვრთნელის სიტყვას დაემორჩილება. ჩვენს ნაკრებში დამყარებულია დისციპლინა და ვინც მას დაარღვევს, სათადარიგო სკამიდან უყურებს მატჩებს. ჭკუის დამრიგებელი ნაკრებს საკმარისად ჰყავს. მხოლოდ მწვრთნელებს ექნებათ იმის უფლება, რომ მოთამაშეს შენიშვნა მისცენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამგვარი პრეცედენტები არაერთხელ ყოფილა ჩვენს ნაკრებში და აღარ მინდა, ისევ განმეორდეს.

— მიზანი, რა თქმა უნდა, A დივიზიონის საგზურის მოპოვებაა, რისთვისაც მინიმუმ ფინალში უნდა გავიდეთ. მეტოქეთაგან ყველაზე ძლიერია პოლონეთი, თუმც არც სლოვაკეთს ჰყავს ხელწამოსაკრავი გუნდი. ერთი სიტყვით, სერიოზული მატჩები გველის და ჩვენც მზად ვართ.

ნუგზარ კანდელაკმა იქვე ნაკრების ახალი კაპიტანი წარმოგვიდგინა — დავით საყვარელიძე, რომელიც თავად მოთამაშეებმა აირჩიეს ფარული კენჭისყრით.

„ჯერ მარკოიშვილის და შემდეგ სანიკიძის სახით დიდი დანაკლისი განიცადა ჩვენმა გუნდმა — თქვა საყვარელიძემ — ძალიან ცუდია, რომ ამ ძლიერი მოთამაშეების გარეშე მოგვიწევს ბულგარეთში ბრძოლა, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ნაღდად მზად ვართ. მოტივაცია გაორმაგებული გვაქვს, რაკი შესუსტებული შემადგენლობით ვართ და იმედია, საწადელს მივაღწევთ. თურქეთში გასამართი ორი მატჩი ძალიან დიდ გამოცდილებას შეგვძენს და ბულგარეთში სრული მზადყოფნით ჩავალთ“.

**ირაკლი პერტაია**

*ზურაბ დოლინჯაშვილის ფოტოები*

8 ივლისი
საქართველო — ისლანდია 16.45
9 ივლისი
საქართველო — ფინეთი 14.00
10 ივლისი
საქართველო — ირლანდია 18.30
12 ივლისი
საქართველო — სლოვაკეთი 11.45
13 ივლისი
საქართველო — პოლონეთი 16.45





სერგო ათუაშვილი
ცენტრი
223 სმ



დავით იმნაძე
ცენტრი
208



გიორგი მდივანი
თავდამსხმელი
205 სმ



გიორგი მამაცაშვილი
გამთამაშებელი
198 სმ



ლაშა ფარლალავა
გამთამაშებელი
190 სმ



გიორგი ჩავლეიშვილი
თავდამსხმელი
203 სმ

# სან ანტონიომ სანიკიძეს სანაკრებო ტაბუ დაადო

## ვიკას დანკანი, ჯინობილი, პარკერი გააცნეს

**კვირას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბულგარეთში, ევროჩემპიონატის B დივიზიონის ტურნირზე მიემგზავრება და სავარაუდოდ გვარიანი ჯაფა დაადგება ზედა ეშელონში ასანაცვლებლად. ტრავმირებული მანუჩარ მარკოიშვილის შემდეგ ნუგზარ კანდელაკის სამწყოს მეორე ლიდერთაგანი გამოაკლდა. ამერიკიდან გუშინწინ დაბრუნებულმა ვიქტორ სანიკიძემ სანანტონიოელი ექიმების მკაცრი ვერდიქტი ჩამოიტანა: თამაშზე ლაპარაკიც კი ზედმეტია და უახლოეს დღეებში სანიკიძე საოპერაციო მაგიდზე უნდა დანვეს.**



— ჯერ არავინ იცის, რომ ბულგარეთში არ მივიდვარ, არც ნუგზარ კანდელაკმა და არც ფედერაციის წარმომადგენლებმა — გვითხრა გუშინ დილას „დინამოს" ბაზაზე მიმავალმა ვიქტორ სანიკიძემ — ახლა მივალ და ნაკრების მწვრთნელ-ექიმებს ამერიკელების გამოკვლევის შედეგებს ვაჩვენებ.

**— რა დიაგნოზი გაქვს და არის თუ არა შანსი, ნაკრებს ბულგარეთში რომ გაჰყვე?**

— კონკრეტულად რა დიაგნოზია, ვერ გეტყვი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ერთი წამითაც არ შეიძლება თამაში. „სან ანტონიოს" ექიმებმა მითხრეს, თუ გინდა, თავი დაიღუპო, ითამაშეო, მუხლები ისეთ დღეში გაქვს, თუ კიდე დატვირთავ, ეგება მერე აღარაფერი გეშველოსო.

**— გამოდის, რომ გამოსაკვლევად წაუყვანიხართ სანანტონიოელებს...**

— რა თქმა უნდა, ეს იყო მთავარი მიზეზი. მათ იცოდნენ, რომ სერიოზული ტურნირი მელოდა და როგორც ჩემზე უფლებების მქონენი, თავიდან ბოლომდე გამომიკვლიეს გამიზეზებული მუხლები. ვიზის პრობლემა ძალიან მალე მომიგვარეს და მცირე შეფერხება რომ არა, „სან ანტონიო" — „დეტროიტის" სუპერფინალურ მატჩს დავესწრებოდი, მაგრამ...

**—სან ანტონიოში, ცხადია, მხოლოდ ექიმებთან არ ივლიდი...**

— ამერიკაში შარშანაც ხომ ვიყავი, მაგრამ ამჯერად თითოეული სანანტონიოელი გავიცანი. მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩით დაწყებული, „სან ანტონიოს" ბაზის რიგითი მუშაკებით დამთავრებული.

**— სუპერფინალის უძვირფასესი ტიმ დანკანიც გაიცანი?**

— დანკანიც, ჯინობილიც, პარკერიც და აბსოლუტურად ყველა. მე მიმიწვიეს „სან ანტონიოს" ჩემპიონობისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ღონისძიებაზე, რომელიც ეს-ბი-სი სენთერში გაიმართა. მოთამაშეები გულშემატკივრებს შეხვდნენ და მერე ბანკეტიც მოეწყო.

**— ბურთთან შეხება არ გქონია?**

— არა, რა ბურთი... სან ანტონიოს ექიმებმა სამედიცინო დასკვნა რომ მომცეს, იქ ჩემი კალათბურთი მინიმუმ 6 თვით დამთავრდა.

**— ეგ რას ნიშნავს?**

— უახლოეს დღეებში ოპერაცია უნდა გავიკეთო და მერე 6 თვე სარეაბილიტაციოდ დამჭირდება. ახლა იმაზე მიდის ლაპარაკი, ოპერაციას ამერიკაში გავიკეთებ, თუ ევროპაში. მთელ ფინანსურ უზრუნველყოფას სან ანტონიო იკისრებს, თუ „დინამო" დათანხმდა ჩემს ამერიკაში გაშვებას. პრინციპში, უნდა გამიშვას, რადგან გინდა „დინამოში" ვიყო და გინდა სხვაგან, მოედანზე მაინც ვერ გავალ.

**— თუ ამერიკაში გაიკეთებ ოპერაციას, რეაბილიტაციასაც იქ გაივლი?**

— „სან ანტონიოს" მენეჯერმა მითხრა, კარგი იქნება, თუ აქ გაიკეთებ ოპერაციას, [illegible] და მანქანას მომცემენ და [illegible] არ ჩავდგები, „სან ანტონიოს" ბაზაზე ვიმკურნალებ და ვივარჯიშებ.

**— ახლა რას აპირებ?**

— ახლა მივალ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთან და გუნდიდან გავეთავისუფლები. მერე ჩემი პირადი მენეჯერის სიტყვას დაველოდები და ან ამერიკაში წავალ საოპერაციოდ, ანაც სადმე ევროპაში.

**— ბოლოს სანანტონიოურ შთაბეჭდილებებზეც გკითხავ...**

— სან ანტონიოში თითოეული წუთი ზღაპრული იყო. ნბა-ს ჩემპიონებთან ვიყავი და ამით ყველაფერია ნათქვამი. დამამახსოვრდა დანკანის გაცნობა, პარკერის რეპლიკა, რომელიც მან ფრანგულად იმღერა საზეიმო ღონისძიებაზე.

**— შენც „სან ანტონიოს" ფორმაში იყავი გამოწყობილი?**

— ჰო და ამის გამო გზაში კინაღამ უსიამოვნება შემემთხვა. სან ანტონიოში დეტროიტის გავლით ჩავფრინდი და სანამ თვითმფრინავს გამოვიცვლიდი, აეროპორტის თანამშრომლებთან მომიწია კამათი. ჯერ მარტო იმიტომ მიყურებდნენ ალმაცერად, „სან ანტონიოს" კეპ-მაისურაში რომ ვიყავი გამოწყობილი. მერე კი, როცა გაიგეს „სფურზის" წევრი ვიყავი და კლუბში მივდიოდი, გაპროტესტებული რეპლიკები დამიშინეს. მე ვუთხარი, რა გაქვთ სალაპარაკო, დამარცხებულები ხართ და გაბრაზებულები ხართ-მეთქი. მერე „დეტროიტის" კეპი ვიყიდე, სან ანტონიოში ჩასვლამდე მსგავსი უსიამოვნებები თავიდან რომ ამეცილებინა.

**ირაკლი პერტაია**



# პარიზი უკვე გამარჯვებას ზეიმობს

**სინგაპურში** ჩავიდა „მოსკოვი 2012" -ის საგანაცხადო კომიტეტის თანამშრომელთა პირველი ჯგუფი.

ერთი კვირის მერე აქ გაცხადდება 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის ვინაობა, თუმცა, პარიზმა უკვე დაიწყო გამარჯვებასთან დაკავშირებულ ზეიმზე დამსწრეთა აკრედიტაცია. რაც შეეხება რუსეთს, მისი დელეგაციის პირველი ჯგუფი სინგაპურში ასე ადრიანად იმისთვის ჩავიდა, რომ მონაწილეობა მიიღოს მოსკოვის საფინალო პრეზენტაციაში.

როგორც ცნობილია, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ხუთი კანდიდატია შემორჩენილი: პარიზი, ნიუ იორკი, ლონდონი, მადრიდი და მოსკოვი. ყველა ეს ქალაქი თავის საბოლოო მზადყოფნაშია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის მასპინძელ სასტუმრო „SWISSOTEL"-ში ყველა კანდიდატი ქალაქის ოფისი გაიხსნა.

მოსკოვის პრეზენტაციაში მონაწილეობას მიიღებენ: რუსეთის მთავრობის მეთაური მიხაილ ფრადკოვი, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი, ოლიმპიური ჩემპიონები — ირინა როდნინა, ალექსანდრე პოპოვი და დმიტრი სვატკოვსკი, საგანაცხადო კომიტეტის გენერალური მენეჯერი ალექსანდრე ჩერნოვი, ტელეწამყვანი და საგანაცხადო კომიტეტის დირექტორი იულია ბოლდოვსკიხი.




მოსკოვის საგანაცხადო კომიტეტის ოფისმა უკვე დაიწყო მუშაობა, სადაც ჩატარდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე 6 ივლისს გამომსვლელთა ინდივიდუალური რეპეტიციები. როგორც „მოსკოვი 2012"-ის პრესსამსახური იუწყება, რეპეტიციები 5 ივნისამდე ყოველდღიურად ჩატარდება.

ასევე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სინგაპურში „რუსული სახლის" გასახსნელად. იგი 4 ივლისს გაიხსნება და ბინას დაიდებს თანამედროვე მოდურ ბარ-რესტორანში, რომელიც მდინარე სინგაპურივერის სანაპიროზეა. რუსების აზრით, ეს ადგილი ყველაზე მეტად შეეფერება მოსკოვის საგანაცხადო უნიკალურ კონცეფციას.

შეგახსენებთ, რომ ამ კონცეფციის მიხედვით, რომელსაც „ოლიმპიური მდინარე" ჰქვია, ოლიმპიური ობიექტები განლაგებულია მოსკოვის გაყოლებაზე.

„რუსულ სახლში" 5 ივლისს გაიმართება პირველი ოფიციალური კონფერენცია, ხოლო სოკ-ი თავის ვერდიქტს 6 ივლისს, 15 საათსა და 20 წუთზე გამოიტანს. ამ ცერემონალის პირდაპირი ტელეტრანსლაცია მრავალ ქვეყანაში გადაიცემა, ხოლო მოსკოვი მთელი დღის განმავლობაში მრავალ საზეიმო ღონისძიებას გეგმავს.

იმავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია სინგაპურში ჯერ არ გახსნილა, „პარიზი 2012"-ის საგანაცხადო კომიტეტმა უკვე დაიწყო ამ ქალაქის გამარჯვებასთან დაკავშირებით დაგეგმილ გრანდიოზულ ზეიმზე ჟურნალისტთა დასასწრებლად აკრედიტაციების გაცემა. მაგალითად, პარიზის ოფიციალურ პრეს-რელიზში მითითებულია იმ პირის კოორდინატები, რომელმაც ჟურნალისტთა აკრედიტაცია უნდა აწარმოოს.

კაცმა რომ თქვას, პარიზელთა ასეთი თვითდაჯერებულობა უსაფუძვლო სულაც არაა, მით უმეტეს, რომ საბუქმეიკერო კანტორები ამ ქალაქს უეჭველ ფავორიტად მიიჩნევენ.

**ავთანდილ ტყვიშელი**

## ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი



# ამხედრდით!
## ტური გამოცხადდა

| | | | |
|---|---|---|---|
| პირვ. ეტაპი | 2 ივლისი | ფრომენტინი — ნიორმუტიე | 19 კმ |
| მე-2 ეტაპი | 3 ივლისი | შალანი — ლე ესარი | 181,5 კმ |
| მე-3 ეტაპი | 4 ივლისი | ლა შატინერი — ტური | 212,5 კმ |
| მე-4 ეტაპი | 5 ივლისი | ტური — ბლუა | 67,5 კმ |
| მე-5 ეტაპი | 6 ივლისი | შამბორი — მონტარჟი | 183 კმ |
| მე-6 ეტაპი | 7 ივლისი | ტრუა — ნანსი | 199 კმ |
| მე-7 ეტაპი | 8 ივლისი | ლუნევილი — კარლსრუე | 228,5 კმ |
| მე-8 ეტაპი | 9 ივლისი | ფორციემი — ჟერამე | 231,5 კმ |
| მე-9 ეტაპი | 10 ივლისი | ჟერამე — მიულუზი | 171 კმ |
| | 11 ივლისი | დასვენების დღე (გრენობლი) | |
| მე-10 ეტაპი | 12 ივლისი | გრენობლი — კურშევილი | 192,5 კმ |
| მე-11 ეტაპი | 13 ივლისი | კურშევილი — ბრიანკონი | 173 კმ |
| მე-12 ეტაპი | 14 ივლისი | ბრიანკონი — დინი | 187 კმ |
| მე-13 ეტაპი | 15 ივლისი | მირამა — მონპელიე | 173,5 კმ |
| მე-14 ეტაპი | 16 ივლისი | აგდი — დომანი | 220,5 კმ |
| მე-15 ეტაპი | 17 ივლისი | ლეზა — სენ ლარი სულანი | 205,5 კმ |
| | 18 ივლისი | დასვენების დღე (პო) | |
| მე-16 ეტაპი | 19 ივლისი | მურე — პო | 180,5 კმ |
| მე-17 ეტაპი | 20 ივლისი | პო — რეველი | 239,5 კმ |
| მე-18 ეტაპი | 21 ივლისი | ალბი — მენდი | 189 კმ |
| მე-19 ეტაპი | 22 ივლისი | იზორი — ლე პუი | 153,5 კმ |
| მე-20 ეტაპი | 23 ივლისი | სენტ ეტიენი | 55 კმ |
| 21-ე ეტაპი | 24 ივლისი | კორბე-ესონე — შანზ-ელიზე | 144 კმ |




**დღეს** მსოფლიოს უგრძესი, ურთულესი, უძნელესი და მოკლედ, უპრესტიჟულესი საგზატკეცილო ველოტური — ტურ დე ფრანსი იწყება. წლევანდელი, რიგით კი 92-ე ტური 23 დღეს გაგრძელდება და დაახლოებით ორი ასეული მრბოლი ამ სამზე მეტი კვირის განმავლობაში გადასერავს საფრანგეთის მოვლილ ველ-მინდვრებს, ჭაპანწყვეტით აგორდება ალპებზე, პირინეებზე და ორი დღით საფრანგეთის საზღვრებსაც გასცდება. ესეც ტრადიციაა, ტური ხშირად ეწვევა ხოლმე მეზობელ ქვეყნებს, ყველაზე ხშირად ბელგიასა და იტალიას, წლეულს კი ორი დღით გერმანიაში, კერძოდ კი კოხტა ქალაქ კარლსრუეში შეივლის და მისი შემოგარენის მოვლის შემდეგ დედასაფრანგეთს დაუბრუნდება. სულ მრბოლები დაფარავენ 3607 კილომეტრს და ეს დისტანცია 21 ეტაპადაა გაყოფილი. ცალკე ეტაპი ეთმობა გუნდურ რბოლას და აგრეთვე ორი ეტაპი ინდივიდუალურ რბოლას, ამ დისციპლინაში კი მსოფლიოში დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ რჩება კარიერის მსვლელობაშივე ტურის ლეგენდად ქცეული ლენს არმსტრონგი.

არმსტრონგი წლეულს ტურის ზედიზედ მეშვიდე ჩემპიონობას შეუტევს და თუ შანზ-ელიზეს მინდვრებზე სამი კვირის შემდეგ სპეციალურად მისთვის თუ გაიხსნა შამპანიურის ბოთლი, ტეხასელს უკვე ყოველგვარი გადაჭარბების შემდეგ მიენიჭება ყველა დროის უძლიერესი ველომხედრის არაოფიციალური ტიტული, ის ხომ ისედაც ტურის რეკორდსმენია. ისე კი, ლენსს ალბათ უფრო მეტად გაუჭირდება, ვიდრე წინა წლებში და ამის მიზეზი მისი ახალი გუნდი ნამდვილად არ გახლავთ. ცნობილ შემეცნებით ტელეარხ „დისქოვერის" გუნდი წლისაც არაა, მაგრამ სამაგიეროდ გამოცდილი მრბოლებითაა გავსებული, რომელთაგან თუნდაც წლევანდელი „ჯირო დიტალიას" ჩემპიონ პაოლო სავოლდელის ხსენებაც კმარა. გუნდი არაფერ შუაშია, ეგაა ლენსს ასაკი ემატება, 33 წლის გახლავთ და თავისთავად, მუხლებში ძალა აკლდება და არა ემატება.

ხოლო ტურის სხვა ფავორიტების ხსენებისგან თქვენის ნებართვით და არმსტრონგის პატივისცემის გამო თავს შევიკავებთ.

**ძოტე ყორშია**



# შარაპოვასაც მოხვდა

გუშინ უიმბლდონის მწვანეზე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა (აშშ) მოუგო ამელი მორესმოს (საფრანგეთი) — 6:7 7:6 6:4 და გავიდა ფინალში, სადაც თანამემამულე ვინუს უილიამსს შეხვდება.

გუშინვე წყვილთა თანრიგში გაიმართა ნახევარფინალური მატჩები. სტივენ ჰას — ვესლი მუდის (ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა) წყვილმა მოუგო იონას ბიორკმან — მაქსიმ მირნის (შვედეთი-ბელორუსია) — 2:6 6:2 6:4 7:6.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში გაიმარჯვა ამერიკელ ბობ და მაიკ ბრაიანების დუეტმა, რომელმაც სძლია უეინ ბლეიკ — კევინ ულეტის (ზიმბაბვე) წყვილს — 4:6 6:3 6:4 6:4

გაიმართა ვაჟთა ნახევარფინალური შეხვედრაც, სადაც როჯე ფედერერმა (შვეიცარია) მოუგო ლეიტონ ჰიუიტს (ავსტრალია) — 6:3 6:4 7:6.

ფედერერი ფინალში შეხვდება ენდი როდიკსა (აშშ) და თომას იუჰანსონს (შვედეთი) შორის გამარჯვებულს. მათი შეხვედრა გუშინ კი დაიწყო, მაგრამ წვიმის გამო დღეისთვის გადაიდო, როცა ანგარიში იყო 6:5.

**უიმბლდონის** ტურნირზე მარია შარაპოვასა და ვინუს უილიამსის ძალზე საინტერესო შეხვედრამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია სპეციალისტთა შორისაც. ამ მხრივ საინტერესოა ბიბისის მიმომხილველის, ამერიკის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებული (1978-1981 წწ) ტრეისი ოსტინის კომენტარები.

წვიმის გადაღების შემდეგ შარაპოვა და უილიამსი პირველები გამოვიდნენ კორტზე და მეტოქეებმა ერთმანეთს პირველივე გეიმიდან მედგარი ბრძოლა შესთავაზეს და მაღალი დონის ჩოგბურთი აჩვენეს. მაგრამ ამ შეხვედრაში ვინუსმა უკეთ ითამაშა.

კრის ოსტინის თქმით, ვინუს უილიამსმა მარია შარაპოვას წინააღმდეგ ფენომენალურად იბრძოლა. ისე იბრძოლა, როგორც არასდროს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

„მე მესმის, რომ მარია ძალზე განაწყენდა, როცა ის ბოლო ბურთი აუტში გაუშვა, რამაც მის წინააღმდეგობას დაუსვა წერტილი. მაშინ რუსი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა — ამბობს ტრეისი ოსტინი — მაგრამ თავისი უნდა მივუზღოთ ვინუს უილიამსს, რომელმაც კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

ეს გამარჯვება ფენომენალური იყო იმიტომაც, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ვინუსმა მხოლოდ ერთხელ სძლია იმ ჩოგბურთელს, რომელიც მსოფლიოს პირველ ხუთეულში შედიოდა... და ეს მისი და, სერენა იყო, ვისაც წლევანდელი წლის დასაწყისში მაიამის ტურნირში მოუგო.

ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ვინუსი შორს იყო თავისი ჩვეული სპორტული ფორმისგან. ნაღდია, რომ გულშემატკივარს დიდი ხანია არ უხილავს ვინუსის ისეთი ჩოგბურთი, როგორიც მარია შარაპოვას წინააღმდეგ გვაჩვენა.

საკომენტატორო კაბინაში მყოფნი ვეჭვობდით კიდეც, რომ უილიამსი ვერ გაუძლებდა იმ მაღალ ტემპს, რომელიც მატჩის დასაწყისში შემოგვთავაზა.

ყველამ იცის, რომ შარაპოვა, ისე, როგორც ჟუსტინ ენენ არდენი, ყველაზე შეუპოვარი ჩოგბურთელი ქალია მთელს მსოფლიოში. ჩვეულებრივ, იგი არაფერს უთმობს თავის მეტოქეებს. და ყველამ იცის, რომ მატჩის ნებისმიერ მონაკვეთში მისი ჩამოწერა ნაადრევია.

სწორედ ამიტომაც ვთვლი, რომ უილიამსმა ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა. იგი არ ანელებდა ტემპს, იბრძოდა აგრესიულად და ძალზე კარგად აწოდებდა ბურთს."

***

**მატჩის** შემდეგ, როდესაც კორტს ტოვებდა, ვინუსმა თქვა: „მე მიყვარს ეს ტურნირი. ეს სარბიელი ჩემთვისაა მოწყობილი...

ამ ჩემპიონატზე ვინუს უილიამსი მე-14 ნომრად იყო განთესილი. ამ ამერიკელმა დიდი მუზარადის ტურნირზე სულ ბოლოს თითქმის ოთხი წლის წინათ გაიმარჯვა.

შარაპოვას წინააღმდეგ ბრწყინვალედ თამაში, ეტყობა, იმის მაუწყებელია, რომ უილიამსი ქალთა ჩოგბურთის მწვერვალზე ბრუნდება. ვინუსი ოთხჯერ იყო უიმბლდონის ფინალში და ორჯერ მოიგო იგი — 2000 და 2001 წლებში.

წლეულს უილიამსმა ორჯერ იძია შური თავისი უმცროსი დის დამარცხებისთვის. მეოთხე წრეში ორჯერ დაამწუხრა ჯილ კრეიბასი, რომელმაც მანამდე სერენა გამოთიშა ტურნირიდან, ხოლო მარია შარაპოვას იმისთვის „მოხვდა", რომ მან მარშან სერენას ფინალში მოუგო.


AFP

ლინდსი დევენპორტი

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

### XII ტური

| | | |
|---|---|---|
| ზვიად იზორია (საქართველო) | 0,5:0,5 | ვლადიმერ მალახოვი (რუსეთი) |
| ოლეგ კორნეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |
| მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 0:1 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ვალერი ფილიპოვი (რუსეთი) |
| ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 0:1 | კონსტანტინ ლუპულესკუ (რუმინეთი) |
| დავით მაღალაშვილი (საქართველო) | 1:0 | ლუც ვინანსტი (ბელგია) |



ლივიუ-დეტერ ნისიპიანუ

| | | |
|---|---|---|
| 1 | ლივიუ-დეტერ ნისიპიანუ (რუმინეთი) | 9 ქულა |
| 2 | ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია) | 9 |
| 21 | ლევან ფანცულაია (საქართველო) | 7,5 |
| 38 | ზვიად იზორია (საქართველო) | 7,5 |
| 55 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 7 |
| 101 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 6,5 |
| 108 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 6 |
| 131 | დავით მაღალაშვილი (საქართველო) | 6 |
| 137 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 5,5 |



# ისინი ავიდნენ მთაში

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრები ბაკურიანშია. გუშინ შოთა ხაბარელმა ეროვნულის ყველა კანდიდატი მოკრიბა და მსოფლიოს ჩემპიონატისწინა პირველი შეკრება დაიწყო. გუნდი რომ ბაკურიანში 1 ივლისს გაემგზავრებოდა, რამდენიმე კვირის წინ გადაწყდა. ბოლოდროინდელი მოვლენების გამო იყო ეჭვი, რომ წინასწარი გეგმა შეიცვლებოდა, თუმცა...

„უკვე ბაკურიანში ვართ და თვრამეტდღიან შეკრებას ვიწყებთ. ამჯერად მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაზე ვიფიქრებთ. შემდგომ ორ სრულყოფილ შეკრებას კი ლიკანში გავმართავთ და ვეცდებით, მსოფლიოს ჩემპიონატს მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდეთ" — გვითხრა გუშინ სალამოს ხაბარელმა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ირლანდია

**პრემიერლიგა. XV ტური**

**ბოჰემიანსი 2:1 უოტერფორდი**

**დროჰედა 3:0 ბრეი**

**დუბლინი 1:5 კორკ სიტი**

**შელბურნი 1:2 დერი სიტი**



# F1

**მეათე ეტაპი** საფრანგეთის დიდი პრიზი

## მანი კური

ნევერი, 3 ივლისი



**ტრასის სიგრძე** — 4.411 კმ

**რბოლის დისტანცია** — 70 წრე — 308.586 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 ალონსო (რენო); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 ტრული (რენო); 5 ბატონი (BAR); 6 კულჰარდი (მაკლარენი); 7 რაიკონენი (მაკლარენი); 8 მონტოია (უილიამსი)

**წრის რეკორდი:** 2003 — მონტოია (უილიამსი) 1.15,512 (210,3კმ/სთ)

**წლევანდელი** ივლისი „სამეფო რბოლების" 56-ჩემპიონატიან ისტორიაში ყველაზე დატვირთული თვეა — მიყოლებით ოთხი დიდი პრიზი გათამაშდება.

ხვალ ფრანგული ეტაპია. წინა, ამერიკულ რბოლაში „მიშლენის" მებორბლეები საშვილიშვილო შერცხვენის შემდეგ, იმედია, სარეაბილიტაციოდ ამჯერად მაქსიმალურად გაირჯებიან, თანაც თავიანთ სამშობლოში. მით უმეტეს ორიოდე დღის წინანდელი განცხადების შემდეგ, დარდი ნუ გაქვთ, ჩვენი საბურავები „მანი კურზე" უმაღლეს დონეზე იმუშავებენო.

ბრიტანელი ბუქმეიკერები წინა რბოლის მოგების მიუხედავად, სახვალიოდ გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტად მიხაელ შუმახერს კი არა, კიმი რაიკონენს თვლიდნენ. მაგრამ გუშინ ოფიციალური ვარჯიშისას „ყინულის კაცს" მანქანაში „მერსედესის" ძრავის პრობლემები შეექმნა, რის გამოც მხოლოდ ორი წრის შემოვლა შეძლო და თუ მოტორი შესაცვლელი გაუხდება, მის დღევანდელ საკვალიფიკაციო შედეგს ათი საჯარიმო ადგილი დაემატება. ერთი სიტყვით, რაიკონენს მოგების შანსი პრაქტიკულად დაწყებამდე გაექრ[illegible]

სამაგიეროდ, ამაღლდა [illegible] ეტაპზე 18 ქულის მომგე[illegible] ხაელ შუმახერის გამარჯვ[illegible] რიანტი. მას მეორე კუში [illegible]

ხვალ 150-ედ გავა[illegible] ნის" იტალიელი პილოტ[illegible] რლო ფიზიკელა, მესამედ[illegible] მისი ესპანელი თანა[illegible] რნანდო ალონსო.

და კიდევ, წინა, ამერიკ[illegible] პზე მორიგი ავარიის შემდეგ [illegible] შუმახერი ჯარიმა [illegible] დაკარგულის ანაზღაურ[illegible]

გუშინ პირველ ვარჯიშ[illegible] უკეთესი დრო „მაკლარენის" ტესტ-მძღოლმა პ. დე ლა როსამ აჩვენა, მეორე იყო ალონსო, შემდეგ ფიზიკელა.

ორსაათიანი შეჯიბრების შემდეგ მეორე გასვლაზეც ყველას პ. დე ლა როსამ აჯობა. მეორე შედეგი მაკლარენელ ხუან-პაბლო მონტოიას ჰქონდა, მესამე — მიხაელ შუმახერს. შემდეგ იყვნენ ალონსო, ფიზიკელა, ბარიკელო, ტრული, კულჰარდი, ვილნევი...

**გია ახალაძე**



მიხაელ შუმახერი და ჯანკარლო ფიზიკელა სახვალიოდ ჩინებულ განწყობაზე არიან

AFP

# საკუთარი თუ სხვისი ცოლი მაინც დიდი ტვირთია



დენის როდმანი და მისი „ცოლები"

**ფინეთის** ქალაქ სონკაიარვიში გუშინ დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ცოლების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანაში.

ამგვარი ჩემპიონატი ამ ქალაქში 1992 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ტარდება, ხოლო საერთაშორისო შეჯიბრების სტატუსი 1996 წელს მიიღო და ახლა იგი ტრადიციული ასპარეზობა.

წლევანდელ ჩემპიონატში სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, კანადის, უკრაინის, ირლანდიის, ესტონეთის, ავსტრალიისა და რაღა თქმა უნდა, თავად ფინეთის 30 წყვილი მონაწილეობს. მათ შორის გახლავთ NBA-ის ყოფილი კალათბურთელი, „ჩიკაგო ბულზის" ვარსკვლავი დენის როდმანი.

შეჯიბრების წესების თანახმად ტრასის სიგრძე 253,5 მეტრია. მას მოასპარეზეებს გზად ხვდებათ ქვიშიანი, ასფალტიანი თუ ბალახიანი საფარი, აგრეთვე, ერთი წყლიანი წინაღობაც, რომლის სიღრმეც ადამიანის სიმაღლეზე ოდნავ დაბალია.

ამ ტრასაზე შეჯიბრების მონაწილემ რაც შეიძლება სწრაფად უნდა უნდა გაარბენინოს საკუთარი ცოლი, ან, უბრალოდ, მის მიერ შერჩეული ქალი. ოღონდაც, არის ერთი უეჭველი პირობა, რომ გადასაყვანი „ქალი" არ უნდა იყოს 17 წელზე ახალგაზრდა. ამასთან, ქალის წონა სულ ცოტა 49 კილოგრამი უნდა იყოს. თუ „ცოლი" ძალზე მსუბუქი შეხვდება, მაშინ შეჯიბრების მონაწილემ იგი დატვირთული ზურგჩანთით უნდა დაამძიმოს, რათა ქალი თავის ტვირთიანად არანაკლებ 49 კილოგრამი გამოვიდეს.

დისტანციის გავლისას თუ მონაწილეს „ცოლი" დაუვარდება, მაშინ მას 15 წამით დააჯარიმებენ.

ყოველ გარბენში ორი წყვილი მონაწილეობს: ორი „მებრგული" და ორიც „ცოლი". შეჯიბრების დამთავრების მერე გამარჯვებულად ცხადდება ის წყვილი, რომელიც დისტანციას ყველაზე სწრაფად დაფარავს.

გამარჯვებულნი სხვადასხვა ფასიანი პრიზებითა და, რაღა თქმა უნდა, ლუდით ჯილდოვდებიან.

ამ შეჯიბრების მსოფლიოს რეკორდი 2001 წელს დაამყარეს ტალინელებმა მარგო უსორგომ და ბირგიტ ულრიხმა — 55,5 მეათედი წამი.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# ცხოვრობს ხალხი

არ შემხედო, ძვირფასო მკითხველო. მარჯვენა ქალს, საინტერესო ალაგას უოლში და სპიდო რომ აწერია, ჭკუა არ დაუკარგავს. უოლში, უბრალოდ, მისი გვარია — ოლიმპიური ჩემპიონი. ფრენბურთელი კერი უოლში გახლავთ, ხოლო კაცები, რომლებიც მას ეთამაშებიან და მარცხენა ფოტოზე ჩანან, ასევე ოლიმპიური ჩემპიონი სტინ მეტცგერი და სამგზის ჩემპიონი, იმავდროულად პლაჟის ფრენბურთის ლეგენდა (უკან) კარჩ კირეილი გახლავან. ამბავი ნიუ იორკში, როკფელერ ცენტრის წინა მოედანზე ხდება, სადაც ქვიშა დაუყრიათ და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, აწმენდენ. აქცია სარეკლამოა, ამით გვეუბნებიან, პლაჟის ფრენბურთი ყველამ ითამაშეთო.







AFP ნიუ იორკიდან

# ახტა, გადახტა

ვაი, შვილო — გაიფიქრა, ალბათ, ვანესა ბოსლაკის დედამ, თუ ეს ფოტო ნახა. ფოტოზე კი ფრანგი ჭოკით მხტომელი ხმელთაშუა ზღვის თამაშებზე ფინალურ ჯგუფში გადის. შეჯიბრება ესპანეთის ქალაქ ალმერიაში ტარდება.



AFP ალმერიიდან



AFP პარიზიდან

# მიდი, ლენს, შეუბერე

დიდი ამერიკელი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი 92-ე ტურ დე ფრანსის წინ სამედიცინო ტესტს აბარებს, ექიმი ქალი კი უღიმის, რადგან ზრდილობიანია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ანახარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარსანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლადო ხოჭერავა, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე
ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge